ნეოგაზი

NEOGAS

№ 157 \16-4

03. 11 2021 წ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის

მინისტრის მოადგილეს,

ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

ქალბატონო ნინო,

გაცნობებთ, რომ შპს „ნეოგაზი" თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი #121-ში არსებული ავტო გაზგასამართი სადგურის ტერიტორიაზე ნავთობპროდუქტების სარეალიზაციო წერტილების დამატების მიზნით გეგმავს ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობასა და ექსპლუატაციას.

ვინაიდან, საქართველოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის II დანართის, მე-6 პუნქტის 6.3 ქვეპუნქტის შესაბამისად, ნავთობისა და ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობა და ექსპლუატაცია ექვემდებარება სკრინინგის ანგარიშის მომზადებას, არსებულ გაზგასამართ სადგურზე ნავთობპროდუქტების სარეალიზაციო წერტილების დამატების მიზნით, ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობასა და ექსპლუატაციის საქმიანობასთან დაკავშირებით განსახილველად წარმოგიდგენთ ზემოაღნიშნული კოდექსის მე-7 მუხლისა და ასევე, თქვენი 2021 წლის 6 მაისის N4549/01 წერილის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებულ სკრინინგის დაზუსტებულ ანგარიშს.

ამასთან, თქვენი 2021 წლის 6 მაისის N4549/01 წერილში აღნიშნულ სპეციალური (ზონალური) შეთანხმების საჭიროებასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ კომპანიას დაწყებული აქვს სპეციალური (ზონალური) შეთანხმების პროცედურა ქალაქ თბილისის მერიის შესაბამის სამსახურთან და საქმიანობის განხორციელების დაწყება მოხდება აღნიშნული შეთანხმების მოპოვების შემდგომ.

გთხოვთ, აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით განიხილოთ თანდართული დოკუმენტი და მიიღოთ შესაბამისი გადაწყვეტილება.

დანართი - სკრინინგის ანგარიშის ელ. ვერსია shape ფაილებთან ერთად.

პატივისცემით,

ჭიაბერ ჭიაბრიშვილი

დირექტორი

შპს „ნეოგაზი", ს/კ 405037213, გაზაფხულის ქ. № 18, თბილისი, საქართველო, 0177
Ltd "Neogas", ID 405037213, # 18 Gazapkhuli Str, 0177, Tbilisi, Georgia, Tel: +99532 221 03 31
E- mail: info@neogas.ge Web: www.neogas.ge